

სასესიო შეთანხმება

თარიღი 2024 წლის 25 ივნისი

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW“), მაინის ფრანკფურტი,

და

საქართველოს,

წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ

(„მსესხებელი“)

შორის

15,000,000.00 ევროზე

- მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში -

BMZ ნომერი: 2021 65 249

შინაარსი

მუხლი

1. სესხის მოცულობა და მიზნობრიობა	3
2. თანხის გადაცემა პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსთვის.....	3
3. ჩამორიცხვა.....	3
4. ვალდებულების გადასახდელი, საპროცენტო განაკვეთი და სესხის დაფარვა	4
5. თანხის გაცემის შეჩერება და წინსწრებით დაფარვა.....	5
6. ხარჯები და სახელმწიფო მოსაკრებლები.....	6
7. შეთანხმების მოქმედება და წარმომადგენლობა	6
8. პროექტი.....	7
9. პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება და გადაცემა.....	9
10. სხვადასხვა დებულებები	10
შეთანხმების შესაბამისობა - მსესხებელი.....	12
შეთანხმების შესაბამისობა - პროექტის განმახორციელებელი სააგენტო	15

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 15 დეკემბრით დათარიღებული საქართველოს მთავრობის მიმართ ფინანსური თანამშრომლობის შესახებ ვერბალური ნოტის საფუძველზე, მსესხებელი და KfW აფორმებენ შემდეგ სასესხო შეთანხმებას („შეთანხმება“ ან „სასესხო შეთანხმება“):

თვითმმართველი ქალაქი ბათუმი იქნება პროექტის განმახორციელებელი სააგენტო („პროექტის განმახორციელებელი სააგენტო“ ან “PEA”).

მსესხებელი, წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, სესხს (ქვემოთ განსაზღვრული) სრულად ხდის ხელმისაწვდომს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსთვის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1. სესხის მოცულობა და მიზნობრიობა

1.1 KfW გამოუყოფს მსესხებელს სესხს, რომლის ოდენობა არ აღემატება

15.000.000.00 ევროს (სიტყვიერად: თხუთმეტი მილიონი ევრო)

(„სესხი“)

1.2 მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ სესხი გამოიყენოს ექსკლუზიურად ურბანული მობილობის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ხელშემწყობი ღონისძიებების დასაფინანსებლად („პროექტი“) და პირველ რიგში სავალუტო ხარჯების გადასახდელად. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო და KfW განსაზღვრავენ პროექტის დეტალებს, ასევე საქონელსა და მომსახურებას, რომელიც უნდა დაფინანსდეს სესხის ფარგლებში განსაკუთრებული შეთანხმებით („განსაკუთრებული შეთანხმება“).

1.3 გადასახადები და სხვა სახელმწიფო მოსაკრებლები, რომელიც წარმოექმნება მსესხებელს და/ან პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს და საბაჟო მოსაკრებლები, სესხის თანხიდან არ დაფინანსდება.

2. თანხის გადაცემა პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსთვის

2.1 მსესხებელი სესხს სრულად გადასცემს პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს ცალკე სასესხო ხელშეკრულებით („ქვესასესხო ხელშეკრულება“). ასეთი ქვესასესხო ხელშეკრულების პირობები უნდა შეესაბამებოდეს ამ სასესხო შეთანხმების 5.1 და 6.1 მუხლებს.

2.2 სესხის პირველ ჩამორიცხვამდე, მსესხებელი KfW-ს გაუგზავნის 2.1 მუხლში მითითებული ქვესასესხო ხელშეკრულების დამოწმებულ ინგლისურ თარგმანს.

2.3 სესხის გადაცემა არ წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს რაიმე ვალდებულებას KfW-ის წინაშე წინამდებარე სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებებისთვის.

3. ჩამორიცხვა

3.1 KfW გასცემს სესხს პროექტის მიმდინარეობის შესაბამისად და პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე. განსაკუთრებული შეთანხმებით, პროექტის განმახორციელებელი სააგენტო და KfW შეთანხმდებიან ჩამორიცხვის პროცედურაზე, კერძოდ, პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, რომლებიც დაადასტურებს, რომ მოთხოვნილი სესხის თანხები გამოიყენება ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

3.2 KfW უფლებამოსილია უარი განაცხადოს თანხის ჩამორიცხვაზე 2030 წლის 30 ივნისის შემდგომ.

4. ვალდებულების გადასახდელი, საპროცენტო განაკვეთი და სესხის დაფარვა

4.1 მსესხებელი იხდის ვალდებულების გადასახდელს წლიურ ¼%-ს აუთვისებელი სესხის თანხებზე. ვალდებულების გადასახდელი დაითვლება დაწყებული წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან სამი თვის შემდეგ და დამთავრებული თანხის ჩამორიცხვის დასრულებამდე.

4.2 მსესხებელი სესხზე გადაიხდის საპროცენტო განაკვეთს წლიურ 0.75%-ის ოდენობით. საპროცენტო განაკვეთი დაირიცხება თანხის ჩამორიცხვის თარიღიდან სესხის დაფარვამდე 4.10 მუხლში მითითებულ KfW-ის ანგარიშზე.

4.3 მსესხებელი გადაიხდის ვალდებულების გადასახდელს, პროცენტს და ნებისმიერი ხარჯსა და დავალიანებას 4.4 მუხლის შესაბამისად ნახევარწლიურად, 15 მაისსა და 15 ნოემბერს. პირველი ვალდებულების გადასახდელის გადახდა მოხდება პირველი პროცენტის გადახდისას.

4.4 მსესხებელი დაფარავს სესხს შემდეგნაირად:

ნაწილი	თარიღი		ოდენობა	
1	15 ნოემბერი	2034	1,363,636.36	ევრო
2	15 მაისი	2035	1,363,636.36	ევრო
3	15 ნოემბერი	2035	1,363,636.36	ევრო
4	15 მაისი	2036	1,363,636.36	ევრო
5	15 ნოემბერი	2036	1,363,636.36	ევრო
6	15 მაისი	2037	1,363,636.36	ევრო
7	15 ნოემბერი	2037	1,363,636.36	ევრო
8	15 მაისი	2038	1,363,636.36	ევრო
9	15 ნოემბერი	2038	1,363,636.36	ევრო
10	15 მაისი	2039	1,363,636.36	ევრო
11	15 ნოემბერი	2039	1,363,636.40	ევრო

4.5 თუ ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი გადახდა ემთხვევა იმ თარიღს, რომელიც არ არის საბანკო დღე, მსესხებელმა უნდა განახორციელოს ასეთი გადახდა მომდევნო საბანკო დღეს. თუ მომდევნო საბანკო დღე ემთხვევა მომდევნო კალენდარულ თვეს, ასეთი გადახდა უნდა განხორციელდეს მიმდინარე კალენდარული თვის ბოლო საბანკო დღეს. „საბანკო დღე“ ნიშნავს შაბათის ან კვირის გარდა დღეს, როდესაც კომერციული ბანკები ღიაა ზოგადი საქმიანობისთვის მაინის ფრანკფურტში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

4.6 თუ რომელიმე გადახდა არ არის განხორციელებული KfW-სთვის შესაბამის ვადაში, KfW-მ შესაძლოა გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი დავალიანებაზე საბაზისო განაკვეთს დამატებული

წლიური 3% პერიოდისთვის დაწყებული გადახდის თარიღიდან და დასრულებული იმ თარიღამდე, როცა ასეთი გადახდები გადაირიცხება KfW-ს ანგარიშზე, რომელიც განსაზღვრულია 4.10 მუხლში. „საბაზისო განაკვეთი“ არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოქვეყნებულია Deutsche Bundesbank-ის მიერ, როგორც საბაზისო განაკვეთი შესაბამისი გადახდის თარიღისთვის მოქმედი განაკვეთით. საპროცენტო დავალიანების შემთხვევაში, KfW-ს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. ასეთი ზიანი არ უნდა აღემატებოდეს მიღებულ თანხას თუ პროცენტი დარიცხული იყო ასეთ საპროცენტო დავალიანებაზე საბაზისო განაკვეთით, რომელიც მოქმედია გადახდის თარიღისთვის დამატებული წლიური 3 პროცენტი.

4.7 ვალდებულების გადასახდელი, პროცენტი და სხვა ნებისმიერი დავალიანება 4.6 მუხლის მიხედვით დაითვლება 360 დღიანი წლისა და 30 დღიანი თვის საფუძველზე.

4.8 ჩამოურიცხავი ან წინსწრებით გადახდილი სესხის თანხები იქნება ჩარიცხული ტოლი პროპორციით ყველა დარჩენილი გადახდების მიმართებაში თუ KfW თავისი შეხედულებისამებრ არ განსაზღვრავს განსხვავებულ რეჟიმს კონკრეტული შემთხვევისთვის, განსაკუთრებით მცირე მოცულობის ოდენობის შემთხვევაში.

4.9 KfW უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, მიიღოს გადასახადები ამ შეთანხმებით ან KfW-სა და მსესხებელს შორის დადებული სხვა სასესხო შეთანხმებებით.

4.10 მსესხებელმა, ამგვარ გადახდებთან მიმართებაში, საპასუხო მოთხოვნების ყოველგვარი კომპენსაციის გამოკლებით, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა გადახდა ევროში უნდა განახორციელოს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: KfW
SWIFT-BIC: KFWIDEFF
IBAN: DE80 5002 0400 3108 4546 98

5. თანხის გაცემის შეჩერება და წინსწრებით დაფარვა

5.1 მე-8 მუხლის შესაბამისად ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით, მსესხებელს შეუძლია ნებისმიერ დროს

- a) გააუქმოს სესხის ნებისმიერი თანხა, რომელიც ჯერ არ არის ჩამორიცხული, და
- b) წინასწარ გადაიხადოს სესხი მთლიანად ან ნაწილობრივ.

5.2 KfW-ს არ შეუძლია შეაჩეროს გადახდები, გარდა იმ შემთხვევისა თუ

- a) მსესხებელმა ვერ შეასრულა KfW-ს წინაშე თავისი გადასახდელების გადახდის ვალდებულებები,
- b) დაირღვა წინამდებარე შეთანხმებისა ან ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული შეთანხმების ფარგლებში არსებული ვალდებულებები,
- c) მსესხებელს ვერ ამტკიცებს, რომ სესხის თანხები გამოყენებულია განსაზღვრული მიზნისთვის,
- d) KfW-ის ამ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება არღვევს მოქმედ კანონმდებლობას, ან

- e) წარმოიქმნება საგანგებო გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის პროექტის განხორციელებას, ფუნქციონირებას ან მიზანს, ან მსესხებლის მიერ წინამდებარე შეთანხმებით ნაკისრი გადახდის ვალდებულებების შესრულებას.

5.3 თუ შეიქმნა ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც მოცემულია მუხლი 5.2-ს a), b), c) ან d) -ში, და არ იქნება აღმოფხვრილი KfW-ს მიერ განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც არის სულ მცირე 30 დღე, KfW-ს შეუძლია

- a) 5.2 მუხლის a), b), ან d)-ში განსაზღვრული შემთხვევებისას, მოითხოვოს დაუყოვნებლივ დაფაროს სესხის დარჩენილი თანხის სრული ოდენობა, როგორც დარიცხული პროცენტის გადასახდელისა, ასევე ყველა სხვა შემთხვევითი ხარჯისა;
- b) 5.2 მუხლის c)-ში განსაზღვრული შემთხვევისას, მოითხოვოს დაუყოვნებლივ დაფაროს სესხის ის მოცულობა, რომელიც მსესხებელს არ შეუძლია დაამტკიცოს რომ გამოიყენა შესაბამისი მიზნისთვის.

6. ხარჯები და სახელმწიფო მოსაკრებლები

6.1 მსესხებელი განახორციელებს ყველა გადახდას, რომელიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში, გადასახადების, სხვა სახელმწიფო მოსაკრებლებისა ან სხვა ხარჯების გამოქვითვის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ვალდებულია კანონით ან სხვა მიზეზების გამო განახორციელოს ასეთი გამოქვითვა ან დაკავება გადახდებზე, მსესხებელი გაზრდის თავის გადახდებს იმ ოდენობით, რაც აუცილებელია KfW-სთვის, რომ სრულად მიიღოს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული თანხები გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოქვითვის შემდეგ.

6.2 მსესხებელი იხდის სესხის ჩამორიცხვასა და დაფარვასთან დაკავშირებით წარმოქმნილ გადარიცხვისა და კონვერტაციის ხარჯებს.

6.3 მსესხებელს ეკისრება ყველა გადასახადი და სხვა სახელმწიფო მოსაკრებელი წარმოქმნილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, წინამდებარე შეთანხმების გაფორმებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით.

7. შეთანხმების მოქმედება და წარმომადგენლობა

7.1 KfW ვალდებულია ჩამორიცხოს თანხა წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ჩამორიცხვის შემდეგი პირობები იქნება შესრულებული იმ ფორმითა და შინაარსით რომელიც დამაკმაყოფილებელია KfW-სთვის:

- a) KfW-სთვის დამაკმაყოფილებელი სამართლებრივი დასკვნისა და დამოწმებული ასლების წარდგენით (თითოეული ოფიციალური თარგმანით წინამდებარე შეთანხმების ენაზე) ყველა იმ დოკუმენტისა რომელსაც ეხება სამართლებრივი დასკვნა, მსესხებელი ადასტურებს რომ სასესხო შეთანხმება არის იურიდიულად მოქმედი, სავალდებულო და აღსასრულებელი მსესხებლის მიერ (მათ შორის, ეჭვების თავიდან აცილების მიზნით, ჩანაწერი KfW-ს განთავისუფლების შესახებ სესხის გაცემისას პროცენტის, მოსაკრებლების, გადასახდელის და მსგავსი ხარჯებისგან);

- b) KfW ფლობს წინამდებარე შეთანხმებისა და განსაკუთრებული შეთანხმების ორიგინალს, თითოეული ხელმოწერილია იურიდიულად მავალდებულებელი ძალით;
- c) KfW ფლობს მუხლში 2.2 მითითებული ქვესასესხო ხელშეკრულების დამოწმებულ ინგლისურ თარგმანს.

7.2 წინამდებარე შეთანხმების გაფორმებისას მსესხებელს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი და მის მიერ KfW-სათვის დასახელებული პირები, რომლებსაც შესაბამისი დამოწმებული ხელმოწერის ნიმუშით ექნება ამისი უფლებამოსილება მინიჭებული. პროექტის და წინამდებარე შეთანხმების განხორციელებისას პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერი და მის მიერ KfW-სათვის დასახელებული პირები, რომლებსაც შესაბამისი დამოწმებული ხელმოწერის ნიმუშით ექნებათ ამისი უფლებამოსილება მინიჭებული. წარმომადგენლობის უფლებამოსილება გაგრძელდება მანამ, სანამ მსესხებლის და/ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს წარმომადგენლის მიერ KfW-ს არ ეცნობება ამ უფლებამოსილების გაუქმების შესახებ.

7.3 წინამდებარე შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებები ან დამატებები და ხელშემკვრელი მხარეების მიერ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი შეტყობინება და განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით. ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ან განცხადება მიიღება მას შემდეგ, რაც ის მივა შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის შემდეგ მისამართზე ან შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის სხვა მისამართზე, რომელიც ეცნობება მეორე ხელშემკვრელ მხარეს:

KfW- სთვის:

KfW
 საფოსტო ყუთი 11 11 41
 60046 ფრანკფურტ ამ მეინ
 გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა
 ფაქსი: +49 69 7431-2944

მსესხებლისთვის:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
 სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი
 გორგასალის ქუჩა, N16
 0114, თბილისი
 საქართველო

პროექტის განმახორციელებელი
 სააგენტოსთვის:

ბათუმის მერია
 ლუკა ასათიანის ქუჩა N25
 6010 ბათუმი,
 საქართველო

წინამდებარე შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებები არ საჭიროებს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს თანხმობას. მსესხებელი მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე დროში გაუგზავნის პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს წინამდებარე შეთანხმების ასლს და მასში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას წინამდებარე შეთანხმებასა და განსაკუთრებულ შეთანხმებაში მითითებულ საკორესპონდენციო მისამართზე, ან სხვა მისამართზე, რომელსაც მსესხებელს პროექტის განმახორციელებელი სააგენტო აცნობებს.

8. პროექტი

8.1 მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო:

- a) მოამზადებს, განახორციელებს, იმუშავებს და შეინარჩუნებს პროექტს ჯანსაღი ფინანსური და საინჟინრო პრაქტიკის შესაბამისად, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების მიხედვით და არსებითად პროექტის განმახორციელებელ სააგენტოსა და KfW-ს შორის შეთანხმებული პროექტის კონცეფციის შესაბამისად;
- b) დაავალებს პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების და მშენებლობის ზედამხედველობის განხორციელებას დამოუკიდებელ, კვალიფიციურ კონსულტანტებს, ხოლო პროექტის განხორციელებას - კვალიფიციურ ფირმებს;
- c) ყოველთვის შეასრულებს შესყიდვების დებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია განსაკუთრებულ შეთანხმებაში, მათ შორის, შესაბამისი შესყიდვების გეგმაში;
- d) შეინახავს ან შეინახვინებს ანგარიშებსა და ჩანაწერებს, რომლებიც ცალსახად აჩვენებს პროექტისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების ყველა ხარჯს და მკაფიოდ განსაზღვრავს დაფინანსებულ საქონელსა და მომსახურებას;
- e) საშუალებას მისცემს KfW-ის წარმომადგენლებს ნებისმიერ დროს შეამოწმონ აღნიშნული ანგარიშები და ჩანაწერები და ნებისმიერი და ყველა სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ეხება პროექტის განხორციელებასა და ექსპლუატაციას, და მოინახულონ პროექტი და ყველა მასთან დაკავშირებული დანადგარი;
- f) KfW-ს მიაწვდის ნებისმიერ ინფორმაციას და ანგარიშს პროექტის და მისი შემდგომი პროგრესის შესახებ, როგორც ამას KfW მოითხოვს;

8.2 მსესხებელმა თავად და ასევე, უნდა უზრუნველყოს, რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო:

- a) უზრუნველყოფს პროექტის სრულ დაფინანსებას და KfW-ის მოთხოვნის შემთხვევაში, KfW-ს წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლებიც დაადასტურებს, რომ ამ სესხიდან გადაუხდელი ხარჯები დაფარულია;
- b) თავისი ნებით დაუყოვნებლივ აცნობებს KfW-ს ნებისმიერი და ყველა გარემოების შესახებ, რომელიც გამორიცხავს ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის პროექტის განხორციელებას, ოპერირებას ან მიზანს;
- c) დაუყოვნებლად გადაუგზავნის KfW-ს ნებისმიერ შეკითხვას, რომელიც მსესხებელმა მიიღო OECD-სგან ან მისი წევრებისგან ე.წ. „ODA Untied ODA კრედიტების გამჭვირვალობის შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში, სესხიდან დასაფინანსებელი მიწოდებისა და მომსახურების კონტრაქტების გაფორმების შემდეგ და ასევე კოორდინაციას გაუწევს ნებისმიერ ასეთ შეკითხვაზე პასუხს KfW-თან.

8.3 მსესხებელი დაეხმარება პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს პროექტის სწორი საინჟინრო და ფინანსური პრაქტიკის მიხედვით წარმართვაში და პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ აღნიშნული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში და მისცემს პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს ნებისმიერ და ყველა იმ ნებართვას, რომელიც პროექტის განხორციელებისთვის არის საჭირო.

8.4 მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ და KfW-მ განსაზღვრონ 8.1 მუხლის დეტალები განსაკუთრებული შეთანხმებით.

9. პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება და გადაცემა

9.1 საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, განვითარების თანამშრომლობის გამჭვირვალობასა და ეფექტურობის შესახებ KfW აქვეყნებს შერჩეულ ინფორმაციას (მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიზაციისა და შეფასების შედეგები და პროექტის განხორციელების შემდგომ ანგარიშები) პროექტთან დაკავშირებით და წინასაკონტრაქტო მოლაპარაკების, ასევე პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულების (ხელშეკრულებების) განხორციელების განმავლობაში და ხელშეკრულების განხორციელების შემდგომ ეტაპზე (შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მთლიანი პერიოდი“) საექსპერტო მომსახურების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

ინფორმაცია რეგულარულად თავსდება KfW-ს ვებ-გვერდზე, თავისი საქმიანობის არეალში „KfW განვითარების ბანკი“ (<http://transparenz.kfw-entwicklungsbank.de/en>)

პროექტის და მისი დაფინანსების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება (KfW-ის ან მესამე პირების მიერ, ქვემოთ მოცემული 9.3 მუხლის შესაბამისად) არ მოიცავს რაიმე საკონტრაქტო დოკუმენტაციას ან სენსიტიურ ფინანსურ ან ბიზნესთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას პროექტის ან მის დაფინანსებაში ჩართულ მხარეებთან დაკავშირებით, როგორც არის:

- a) ინფორმაცია შიდა ფინანსურ მონაცემებზე;
- b) ბიზნეს სტრატეგიები;
- c) შიდა კორპორატიული სახელმძღვანელოები და ანგარიშები;
- d) პერსონალური მონაცემები ფიზიკურ პირებზე;
- e) KfW-ს შიდა რეიტინგი მხარეების ფინანსურ მდგომარეობაზე.

9.2 KfW უზიარებს ინფორმაციას პროექტისა და მისი ფინანსების შესახებ სრული პერიოდის განმავლობაში ქვემოთ ნახსენებ ერთეულებს, იმისთვის რომ უზრუნველყოს გამჭვირვალობა და ეფექტურობა შემდეგ პირებთან:

- a) KfW-ის შვილობილი კომპანიები;
- b) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და მისი კომპეტენტური პირები, პასუხისმგებელი პირები, ინსტიტუციები, სააგენტოები და უწყებები;
- c) სხვა განმახორციელებელი ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან გერმანიის ორმხრივი განვითარების თანამშრომლობაში, კერძოდ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) GmbH;
- d) საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებაში და მათი წევრები, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), პარიზის კლუბი და მათი წარმომადგენელი წევრები (მათ შორის ეჭვების გამოსარიცხად, პარიზის კლუბის მონაწილეები და დამკვირვებლები).

9.3 გარდა ამისა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მოსთხოვა KfW-ს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით და ასევე თუ, მთლიანი პერიოდის განმავლობაში მის დაფინანსებასთან დაკავშირებით ქვემოთ ჩამოთვლილი უწყებებისთვის რომლებიც აქვეყნებენ მიზნის შესაბამის ინფორმაციებს:

- a) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა საერთაშორისო დახმარების გამჭვირვალობის ინიციატივისთვის (<https://www.bmz.de/de/ministerium/zahlen-fakten/internationale-transparenzstandards-59280>);
- b) გერმანიის ვაჭრობა და ინვესტიცია (GTAI) საბაზრო ინფორმაციის მიზნებისთვის (<https://www.gtai.de/gtai-de/trade>);
- c) OECD განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში ფინანსური დინებების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთვის (<http://stats.oecd.org/>);
- d) გერმანული ინსტიტუტი განვითარების შეფასებისთვის (DEval), რათა შეაფასოს გერმანული განვითარების თანამშრომლობის გამჭვირვალობა და ეფექტურობა (<http://www.deval.org/de/>).

9.4 KfW იტოვებს უფლებას, გადასცეს (მათ შორის გამოქვეყნების მიზნით) ინფორმაცია პროექტის და მისი დაფინანსების შესახებ სრული პერიოდის განმავლობაში, მესამე მხარეს კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.

ინფორმაცია არ არის გადაცემული KfW-ს მიერ მესამე მხარისთვის თუ მსესხებელის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს კანონიერი ინტერესები ინფორმაციაში არ გადაწონის KfW-ს ინტერესებს. მსესხებელის ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს კანონიერი ინტერესები ნაწილობრივ შეიცავს კონფიდენციალურობას საიდუმლო ინფორმაციისას, რომელიც აღნიშნული იყო მუხლი 9.1-ში, რომელიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

გარდა ამისა, KfW უფლებამოსილია გადასცეს ინფორმაცია მესამე მხარეს, თუ ეს აუცილებელია ნორმატიული და მარეგულირებელი მოთხოვნების გამო, ან საჭიროა სასამართლოსა თუ ადმინისტრაციულ პროცედურებში სარჩელის თუ სხვა იურიდიული უფლებების წარსადგენად ან დასაცავად.

10. სხვადასხვა დებულებები

10.1 მსესხებელი იღებს ვალდებულებას, რომ ყოველთვის შეასრულოს დანართ 1-ში მოცემული ვალდებულებები (შესაბამისობის ვალდებულებები - მსესხებელი). მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ყოველთვის შეასრულებს დანართ 2-ში (შესაბამისობის ვალდებულებები - პროექტის განმახორციელებელი სააგენტო) გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

10.2 თუ წინამდებარე შეთანხმებაში რომელიმე დებულება ძალადაკარგულია, ყველა სხვა დებულება ამით დარჩება უცვლელი. მისგან წარმოქმნილი ნებისმიერი ხარვეზი შეიცვლება წინამდებარე შეთანხმების მიზნის შესაბამისი დებულებით.

10.3 მსესხებელს არ შეუძლია დაავალოს ან გადასცეს, დააგირავოს ან დადოს იპოთეკა წინამდებარე შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებებით.

10.4 წინამდებარე სასესხო შეთანხმების ფარგლებში KfW-ს ყველა პრეტენზია ძალადაკარგული იქნება იმ წლის დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ, როდესაც პრეტენზია წარმოიქმნა და როდესაც

KfW-მ ინფორმაცია შეიტყო პრეტენზიასთან დაკავშირებული გარემოებების თაობაზე, ან შეიძლება შეეტყო ამ დაუდევრობით გამოწვეული გარემოებების თაობაზე.

10.5 წინამდებარე სასესხო შეთანხმება რეგულირდება გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კანონმდებლობით. შესრულების ადგილია მაინის ფრანკფურტი.

10.6 წინამდებარე შეთანხმებიდან წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული ყველა დავა მხოლოდ და საბოლოოდ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დარეგულირდება. ამასთან დაკავშირებით შემდეგი მოთხოვნები ამოქმედდება:

- a) საარბიტრაჟო სასამართლო შედგება ერთი ან სამი არბიტრისაგან, რომლებიც დაინიშნებიან და იმოქმედებენ საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) არბიტრაჟის წესების მიხედვით, რომლებშიც დროდადრო შედის ცვლილება;
- b) საარბიტრაჟო განხილვა გაიმართება მაინის ფრანკფურტში. პროცედურები წარიმართება ინგლისურ ენაზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე 2 (ორ) ორიგინალად.

მაინის ფრანკფურტი, _____

KfW-სთვის

[ხელმოწერა]

სახელი: თომას აიზენბახი

თანამდებობა: დეპარტამენტის ხელმძღვანელი

[ხელმოწერა]

სახელი: ბირგიტ ჰოლდერიდ კრესი

თანამდებობა: KfW-ს თბილისის ოფისის
დირექტორი

[ადგილი, თარიღი]

საქართველო,

წარმოდგენილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ

[ხელმოწერა]

სახელი: ლაშა ხუციშვილი

თანამდებობა: მინისტრი

დანართი

დანართი 1: შესაბამისობის ვალდებულებები - მსესხებელი

დანართი 2: შესაბამისობის ვალდებულებები - პროექტის განმახორციელებელი სააგენტო

შესაბამისობის ვალდებულებები - მსესხებელი

1. განმარტებები

იძულებითი პრაქტიკა: რომელიმე პირზე ან მის რომელიმე ქონებაზე ნეგატიური ზემოქმედება ან ზიანის მიყენება, ნეგატიური ზემოქმედების ან ზიანის მიყენების პირდაპირი ან არაპირდაპირი მუქარა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ქმედებებზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენას.

ფარული შეთანხმება: შეთანხმება ორ ან მეტ პირს შორის, რომლის მიზანია არასათანადო მიზნის მიღწევა, მათ შორის სხვა პირის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენა.

კორუფციული პრაქტიკა: რომელიმე პირისთვის ან პირის მიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ რაიმე სახის უკანონო ანაზღაურებისა თუ დაუმსახურებელი უპირატესობის მინიჭების დაპირება, შეთავაზება, მიცემა, განხორციელება, მოთხოვნა, მიღება ან შუამდგომლობა, რომლის მიზანია რომელიმე პირის ქმედებებზე ზემოქმედება ან რომელიმე პირის იძულება, თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისგან.

თაღლითური პრაქტიკა: რაიმე ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის ფაქტების დამახინჯება, რომელიც განზრახ ან უხეში დაუდევრობით იწვევს ადამიანის შეცდომაში შეყვანას ან წარმოადგენს შეცდომაში შეყვანის მცდელობას ფინანსური სარგებლის მიღების ან ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით.

ევროკავშირის სია: ევროკავშირის არაკოოპერატიული საგადასახადო იურისდიქციების სია, როგორც განსაზღვრული და დროდადრო განახლებულია ევროკავშირის კომისიის მიერ, მათ შორის ასოცირებული დანართი I და დანართი II (დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ <https://www.consilium.europa.eu/de/policies/eu-list-of-non-cooperative-jurisdictions>). დანართი I მოიცავს იურისდიქციებს, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც არაკოოპერატიული და დანართი II მოიცავს შემდგომ იურისდიქციებს („დანართი II იურისდიქციები“ ან „შესრულებული იურისდიქციები“), რომლებმაც აიღეს საკმარისი ვალდებულებები გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და, როგორც ასეთი, არ განიხილება, როგორც ამ დროისთვის არაკოოპერატიულად.

ობსტრუქციული პრაქტიკა: (i) მტკიცებულებათა განზრახ განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან გამოძიებისთვის დამალვა, ან გამომძიებლებისთვის ყალბი ჩვენებების მიცემა კორუფციის, თაღლითობის, იძულების, ფარული შეთანხმების სავარაუდო შემთხვევების ოფიციალური გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით, ან რომელიმე პირის მიმართ მუქარა, მისი შევიწროება ან შეშინება იმ მიზნით, რომ მან არ გაუმჟღავნოს გამოძიებას საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი ფაქტები ან არ დაეხმაროს გამოძიებას; ან (ii) ნებისმიერი იმგვარი მოქმედება, რომელიც ხელს უშლის KfW-ს კონტრაქტით მოთხოვნილი ისეთი ინფორმაციის მოპოვებაში, რომელიც დაკავშირებულია კორუფციის, თაღლითობის, იძულების, ფარული შეთანხმების სავარაუდო შემთხვევების ოფიციალურ გამოძიებასთან.

პირი: ნებისმიერი ფიზიკური, იურიდიული პირი, ამხანაგობა ან არაკომერციული გაერთიანება.

სანქციებს დაქვემდებარებული საქმიანობა: ნებისმიერი იძულებითი პრაქტიკა, ფარული შეთანხმება, კორუფციული პრაქტიკა, თაღლითური პრაქტიკა თუ ობსტრუქციული პრაქტიკა (როგორც ეს ტერმინები განსაზღვრულია), რომელიც (i) არის უკანონო გერმანიის ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით, და (ii) რომელსაც აქვს, ან პოტენციურად შეიძლება ჰქონდეს, მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან რეპუტაციასთან დაკავშირებული გავლენა მსესხებელსა და KfW-ს შორის გაფორმებულ წინამდებარე შეთანხმებაზე ან მის განხორციელებაზე.

სანქციები: ეკონომიკური, ფინანსური ან სავაჭრო (მათ შორის, საქონელი, ტექნოლოგიები ან მომსახურება და მათთან დაკავშირებული ფინანსური დახმარება) სანქციების კანონები, რეგულაციები, ემბარგოები ან შემაკავებელი ზომები, რომლებიც არის ადმინისტრირებული, ამოქმედებული ან აღსრულებული ნებისმიერი სანქციების დამსესებელი ორგანოს მიერ.

სანქციების დაკისრების უფლებამოსილების მქონე ორგანო: გაეროს უშიშროების საბჭო, ევროკავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

სანქციების ჩამონათვალი: საგანგებოდ დადგენილი იმ პირების, ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების ნებისმიერი ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარებიან სანქციების დაკისრების უფლებამოსილების მქონე რომელიმე ორგანოს მიერ გაცემულ სანქციებს.

გადასახადებისგან თავის არიდების პრაქტიკა: ნებისმიერი ქმედება, რომელიც სარგებლობს საგადასახადო სისტემის და/ან იურისდიქციის ტექნიკური მახასიათებლებით ან შეუსაბამობა ორ ან მეტ საგადასახადო სისტემას და/ან იურისდიქციას შორის ყოველგვარი საფუძვლიანი ბიზნეს მიზნების გარეშე, გარდა საგადასახადო ვალდებულების შემცირების ერთადერთი მიზნით.

2. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

მსესხებელი ვალდებულია:

- a) დაუყოვნებლივ, KfW-ს მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი გახადოს KfW-სთვის ყველა საჭირო „ინფორმაციის მონაცემები“ ან მსგავსი ინფორმაცია მსესხებლის შესახებ;
- b) დაუყოვნებლივ წარუდგინოს KfW-ს მოთხოვნის შემთხვევაში პროექტთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი მსესხებლისა და მისი (ქვე) კონტრაქტორისა და სხვა დაკავშირებული მხარეების შესახებ, რომლებზეც KfW მოითხოვს, შეასრულონ თავისი ვალდებულებები, რათა თავიდან არიდებული იქნას ნებისმიერი სანქციების დაქვემდებარებული საქმიანობა, ფულის გათეთრება და/ან ტერორიზმის დაფინანსება, ასევე მსესხებელთან საქმიანი ურთიერთობის უწყვეტი მონიტორინგისთვის, რაც აუცილებელია აღნიშნული მიზნისთვის;
- c) დაუყოვნებლივ და საკუთარი ნებით აცნობოს KfW-ს, როგორც კი შეიტყობს ან გაჩნდება ეჭვი პროექტთან დაკავშირებული სანქციებს დაქვემდებარებული ნებისმიერი საქმიანობის, ფულის გათეთრების ან/და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ;
- d) მიაწოდოს KfW-ს ნებისმიერი და ყველა ინფორმაცია და ანგარიში პროექტის და მისი შემდგომი პროგრესის შესახებ, როგორც ეს KfW-მ შეიძლება მოითხოვოს ამ დანართის მიზნებისათვის;
- e) საშუალებას მისცემს KfW-სა და მის აგენტებს ნებისმიერ დროს შეამოწმონ მსესხებლის და მისი (ქვე)კონტრაქტორების და სხვა დაკავშირებული მხარეების პროექტთან დაკავშირებული ყველა სხვა დოკუმენტაცია და მოინახულონ პროექტი და მასთან დაკავშირებული ყველა დანადგარი ამ დანართის მიზნებისათვის;
- f) დაუყოვნებლივ და საკუთარი ნებით აცნობოს KfW-ს, იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი აპირებს KfW-ს მიერ ჩამორიცხული თანხების გამოყოფას (ქვე) კონტრაქტორ და/ან სხვა დაკავშირებული მხარეებისათვის, რომლებიც მდებარეობს და/ან რეგისტრირებულია ევროკავშირის სიის I დანართის მიხედვით არაკოოპერატიულ იურისდიქციებში ჩამოთვლილ ნებისმიერ ქვეყანაში; და
- g) დაუყოვნებლივ და საკუთარი ნებით აცნობოს KfW-ს, როგორც კი შეიტყობს ან ეჭვს შეიტანს პროექტთან დაკავშირებული გადასახადების თავიდან აცილების რაიმე პრაქტიკის შესახებ.

3. წარმომადგენლობა და გარანტია

3.1 გერმანიის კანონმდებლობის ან მსესხებლის ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, მსესხებელი წარმოადგენს იმას, რომ მსესხებლის სახელით პროექტთან დაკავშირებით მოქმედ არც ერთ პირს არ ჩაუდენია ან კავშირშია ნებისმიერ სანქციებს დაქვემდებარებულ საქმიანობასთან, ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან ან გადასახადების თავიდან არიდებასთან.

3.2 ამ მუხლში ჩამოთვლილი წარმომადგენლობა და გარანტია პირველად განხორციელდება ამ შეთანხმების შესრულებით. ეს გულისხმობს, რომ განმეორდება სესხის ყოველი გაცემისას და პროცენტის ყოველი გადახდის დღეზე, თითოეულ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომლებიც ეხება ამ თარიღს.

4. პოზიტიური მიდგომა

მსესხებელი მოქმედებას იწყებს, როგორც კი მსესხებელი ან KfW გაეცნობა, ან იეჭვებს, რომ ადგილი აქვს ნებისმიერ სანქციებს დაქვემდებარებულ საქმიანობას, ფულის გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსების აქტს, რომ სრულად ითანამშრომლოს KfW- თან და მის აგენტებთან, რათა განსაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა ამგვარ ინციდენტს. კერძოდ, სესხის მსესხებელმა დაუყოვნებლივ და რეგულარულად უნდა უპასუხოს KfW-ს, მისგან ნებისმიერი შეტყობინების მიღების შემთხვევაში და გაუწიოს დოკუმენტური მხარდაჭერა KfW თხოვნის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. ნეგატიური ზემოქმედება

მსესხებელი ვალდებულია იღებს

- a) უზრუნველყოს, რომ პროექტთან დაკავშირებით მისმა საქმიანობამ არ გამოიწვიოს რაიმე სანქციებს დაქვემდებარებული საქმიანობა, ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება;
- b) არ შევა ისეთ ტრანზაქციაში ან არ ჩაერთვება პირდაპირ ან ირიბად რაიმე პროექტთან დაკავშირებით სხვა საქმიანობაში, რომელიც წარმოადგენს სანქციების დარღვევას; და
- c) არ გამოყოს KfW-ს მიერ ჩამორიცხული თანხები ნებისმიერი პირისთვის, რომელიც მდებარეობს და/ან რეგისტრირებულია ევროკავშირის სიის I დანართში არსებულ ნებისმიერ იურისდიქციაში KfW-ის წინასწარი თანხმობის გარეშე და არ ჩაერთვება სხვა საქმიანობაში, რომელიც წარმოადგენს გადასახადებისგან თავის არიდების პრაქტიკას.

შესაბამისობის ვალდებულებები - პროექტის განმახორციელებელი სააგენტო

1. განმარტებები

იძულებითი პრაქტიკა: რომელიმე პირზე ან მის რომელიმე ქონებაზე ნეგატიური ზემოქმედება ან ზიანის მიყენება, ნეგატიური ზემოქმედების ან ზიანის მიყენების პირდაპირი ან არაპირდაპირი მუქარა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ქმედებებზე არასათანადო ზეგავლენის მოხდენას.

შეთანხმებული პრაქტიკა: შეთანხმება ორ ან მეტ პირს შორის, რომელიც შექმნილია არასათანადო მიზნის მისაღწევად, მათ შორის სხვა პირის ქმედებებზე არასათანადო გავლენის მოხდენის მიზნით.

კორუფციული პრაქტიკა: რომელიმე პირისთვის ან პირის მიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ რაიმე სახის უკანონო ანაზღაურებისა თუ დაუმსახურებელი უპირატესობის მინიჭების დაპირება, შეთავაზება, მიცემა, განხორციელება, მოთხოვნა, მიღება ან შუამდგომლობა, რომლის მიზანია რომელიმე პირის ქმედებებზე ზემოქმედება ან რომელიმე პირის იძულება, თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისგან.

დანაშაულთა განსაზღვრული კატეგორიები: FATF-ის რეკომენდაციებითა და შესაბამისი ინტერპრეტაციით განსაზღვრული დანაშაულების შემდეგი კატეგორიები: ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილეობა და რეკეტი; ტერორიზმი, მათ შორის ტერორიზმის დაფინანსება; ადამიანებით ვაჭრობა და მიგრანტების კონტრაბანდა; სექსუალური ექსპლუატაცია, მათ შორის ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია; ნარკოტიკული საშუალებებითა და ფსიქოტროპული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობა; იარაღის უკანონო ვაჭრობა; მოპარული და სხვა საქონლით უკანონო ვაჭრობა; კორუფცია და მექრთამეობა; თაღლითობა; ვალუტის გაყალბება; პროდუქციის გაყალბება და მეკობრეობა; გარემოსდაცვითი დანაშაული; მკვლელობა, მძიმე სხეულის დაზიანება; გატაცება, უკანონო შეკავება და მძევლების აყვანა; ძარცვა ან ქურდობა; კონტრაბანდა (მათ შორის, საბაჟო და აქციზებთან და გადასახადებთან დაკავშირებით); საგადასახადო დანაშაულები (პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებთან დაკავშირებული); გამოძალგა; გაყალბება; მეკობრეობა; ინსაიდერული ვაჭრობა და ბაზრის მანიპულირება.

ევროკავშირის სია: ევროკავშირის არაკოოპერატიული საგადასახადო იურისდიქციების სია, როგორც განსაზღვრული და დროდადრო განახლებულია ევროკავშირის კომისიის მიერ, მათ შორის ასოცირებული დანართი I და დანართი II (დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ <https://www.consilium.europa.eu/en/policies/eu-list-of-non-cooperative-jurisdictions>). დანართი I მოიცავს იურისდიქციებს, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც არაკოოპერატიული და დანართი II მოიცავს შემდგომ იურისდიქციებს („დანართი II იურისდიქციები“ ან „შესრულებული იურისდიქციები“), რომლებმაც აიღეს საკმარისი ვალდებულებები გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და, როგორც ასეთი, არ განიხილება, როგორც აქამდე არაკოოპერატიული.

FATF-ის რეკომენდაციები: ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც დროდადრო განსაზღვრულია ფინანსური სამოქმედო სამუშაო ჯგუფის (FATF) მიერ. FATF არის მთავრობათაშორისი ორგანო, რომლის მიზანია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკის შემუშავება და ხელშეწყობა.

თაღლითური პრაქტიკა: ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის არასწორი წარმოდგენა, რომელსაც შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაში შეჰყავს ან ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი ფინანსური სარგებლის მისაღებად ან ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით.

უკანონო წარმომავლობა: თანხები რომელიც მოპოვებულია შემდეგი წყაროებიდან:

- a) სამართალდარღვევათა დანიშნულ კატეგორიებში ჩამოთვლილი ნებისმიერი დანაშაული;
- b) ნებისმიერი კორუფციული პრაქტიკა;
- c) ნებისმიერი თაღლითური პრაქტიკა; ან
- d) ფულის გათეთრება.

ობსტრუქციული პრაქტიკა: (i) გამომძიებლების მიმართ გამოძიების ან ცრუ განცხადებების გაკეთების მიზნით მტკიცებულებათა განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან დამალვა, რომელიც მატერიალურად აფერხებს ოფიციალურ გამოძიებას კორუფციის პრაქტიკის, თაღლითობის პრაქტიკის, იძულებითი პრაქტიკის, კოლაბორაციული პრაქტიკის შემთხვევებში, ან მუქარა, შეურაცხყოფა ან დაშინება ნებისმიერი პირის, რათა თავიდან იქნას აცილებული გამოძიების პროცესში შესაბამისი საკითხების ცოდნა ან გამოძიების ჩატარება, ან (ii) ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს მიზანშეწონილად შეაფერხოს KfW- ის ხელმისაწვდომობა კონტრაქტით მოთხოვნილ ინფორმაციასთან, კორუფციის პრაქტიკასთან, თაღლითურ პრაქტიკასთან, იძულებით პრაქტიკასთან და კოლაბორაციულ პრაქტიკასთან დაკავშირებულ გამოძიებაზე.

პირი: ნებისმიერი ფიზიკური, იურიდიული პირი, ამხანაგობა ან არაკომერციული გაერთიანება.

სანქციებს დაქვემდებარებული საქმიანობა: ნებისმიერი იძულებითი პრაქტიკა, ფარული შეთანხმება, კორუფციული პრაქტიკა, თაღლითური პრაქტიკა თუ ობსტრუქციული პრაქტიკა (როგორც ეს ტერმინები განსაზღვრულია), რომელიც (i) არის უკანონო გერმანიის ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით, და (ii) რომელსაც აქვს, ან პოტენციურად შეიძლება ჰქონდეს, მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან რეპუტაციასთან დაკავშირებული გავლენა მსესხებელსა და KfW-ს შორის გაფორმებულ წინამდებარე შეთანხმებაზე ან მის განხორციელებაზე.

სანქციები: ეკონომიკური, ფინანსური ან სავაჭრო (მათ შორის, საქონელი, ტექნოლოგიები ან მომსახურება და მათთან დაკავშირებული ფინანსური დახმარება) სანქციების კანონები, რეგულაციები, ემბარგოები ან შემაკავებელი ზომები, რომლებიც ადმინისტრირებული, ამოქმედებული ან აღსრულებულია ნებისმიერი სანქციების დამწესებელი ორგანოს მიერ.

სანქციების დაკისრების უფლებამოსილების მქონე ორგანო: გაეროს უშიშროების საბჭო, ევროკავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

სანქციების ჩამონათვალი: საგანგებოდ დადგენილი იმ პირების, ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების ნებისმიერი ჩამონათვალი, რომლებიც ექვემდებარებიან სანქციების დაკისრების უფლებამოსილების მქონე რომელიმე ორგანოს მიერ გაცემულ სანქციებს.

გადასახადებისგან თავის არიდების პრაქტიკა: ნებისმიერი ქმედება, რომელიც სარგებლობს საგადასახადო სისტემის და/ან იურისდიქციის ტექნიკური მახასიათებლებით ან შეუსაბამობა ორ ან მეტ საგადასახადო სისტემას და/ან იურისდიქციას შორის ყოველგვარი საფუძვლიანი ბიზნეს მიზეზების გარეშე, გარდა საგადასახადო ვალდებულების შემცირების ერთადერთი მიზნით.

2. ინფორმაციების გაცნობა

პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ვალდებულია

- a) KfW-ს მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გახადოს ხელმისაწვდომი ყველა საჭირო „ინფორმაციის ბაზა“ ან მსგავსი ინფორმაცია პროექტის განმახორციელებელ

სააგენტოსა და მისი ნებისმიერი (პირდაპირი და/ან არაპირდაპირი) აქციონერის, შვილობილი კომპანიისა და ან სხვა შვილობილი კომპანიის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), როგორც ამას KfW მოითხოვს;

- b) KfW-ს მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას პროექტთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსა და მისი (ქვე)კონტრაქტორი და სხვა დაკავშირებული მხარეების შესახებ, რომლებსაც KfW მოითხოვს თავისი ვალდებულებების შესასრულებლად სანქციებს დაქვემდებარებული საქმიანობების, ფულის გათეთრების ან/და ტერორიზმის დაფინანსებისგან თავის არიდების მიზნით და, ასევე, მსესხებელთან არსებული საქმიანი ურთიერთობების უწყვეტი მონიტორინგისთვის, რაც აუცილებელია აღნიშნული მიზნისთვის;
- c) დაუყოვნებლივ და საკუთარი ნებით აცნობოს KfW-ს, როგორც კი შეიტყობს ან გაუჩნდება ეჭვი პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს, ან მისი მმართველი ორგანოების ნებისმიერი წევრის ან სხვა სამთავრობო ორგანოების ან მათი აქციონერების მიერ დაფინანსებულ სანქციებს დაქვემდებარებული პრაქტიკის, ფულის გათეთრების და/ან ტერორიზმის დაფინანსების შესახებ;
- d) მიაწოდოს KfW-ს ნებისმიერი და ყველა ინფორმაცია და ანგარიშები პროექტისა და მისი შემდგომი მიმდინარეობის შესახებ, რაც KfW-მ შეიძლება მოითხოვოს ამ დანართის მიზნებისათვის;
- e) საშუალება მისცეს KfW-ს და მის აგენტებს ნებისმიერ დროს შეამოწმონ პროექტის მსესხებელის და მისი (ქვე)კონტრაქტორის და სხვა დაკავშირებული მხარეების პროექტთან დაკავშირებული ყველა სხვა დოკუმენტაცია და მოინახულონ პროექტი და მასთან დაკავშირებული ყველა ინსტალაცია ამ დანართის მიზნებისათვის;
- f) დაუყოვნებლივ და საკუთარი ნებით აცნობოს KfW-ს ნებისმიერი მოვლენის შესახებ, რომლის შედეგადაც პროექტის განმახორციელებელი სააგენტო, მისი მმართველი ორგანოს ან სხვა მმართველი ორგანოს რომელიმე წევრი ან მისი რომელიმე აქციონერი არის ან ხდება საგანგებოდ დადგენილი მოქალაქე, დაბლოკილი პირი ან ორგანიზაცია, რომელიც არის სანქციების ნებისმიერ ჩამონათვალში;
- g) დაუყოვნებლივ და საკუთარი ნებით აცნობოს KfW-ს, იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო აპირებს KfW-ს მიერ ჩამორიცხული თანხების გამოყოფას (ქვე)კონტრაქტორ და/ან სხვა დაკავშირებულ მხარეებს, რომლებიც მდებარეობს და/ან რეგისტრირებულია ევროკავშირის სიის I დანართის მიხედვით არაკოოპერატიულ იურისდიქციებში ჩამოთვლილ ნებისმიერ ქვეყანაში; და
- h) დაუყოვნებლივ და საკუთარი ნებით აცნობოს KfW-ს, როგორც კი შეიტყობს ან ეჭვობს, პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს, მისი მმართველი ორგანოს რომელიმე წევრის ან სხვა მმართველი ორგანოს ან მისი აქციონერების მიერ გადასახადებისგან თავის არიდების პრაქტიკის შესახებ.

3. წარმომადგენლობა და გარანტია

3.1 რაც შეეხება გერმანიის კანონმდებლობას ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს ინკორპორაციის ქვეყნის კანონმდებლობას, პროექტის განმახორციელებელი სააგენტო აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ შემდეგი არის ჭეშმარიტი და სწორი:

- a) ამ შეთანხმების დადებისა და განხორციელებისას პროექტის განმახორციელებელი სააგენტო მოქმედებს თავისი სახელით და საკუთარი ანგარიშით;
- b) მხოლოდ აქციონერებთან მიმართებაში და რამდენადაც ცნობილია პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსთვის, საფონდო ბაზრის მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, არც პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს კაპიტალი და არც პროექტში ჩადებული სახსრები არ არის უკანონო წარმოშობის;
- c) პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს, მის ფილიალს, შვილობილ კომპანიას ან მისი სახელით მოქმედ სხვა პირს, არც ერთს არ ჩაუდენია ან არ არის ჩართული რაიმე სანქციებს დაქვემდებარებულ პრაქტიკაში, ფულის გათეთრებაში ან ტერორიზმის დაფინანსებაში;
- d) პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს არ ჰქონია (i) რაიმე საქმიანი ურთიერთობა სპეციალურად დანიშნულ მოქალაქეებთან, ბლოკირებულ პირებთან ან სუბიექტებთან, რომლებიც შეტანილია სანქციების ჩამონათვალში; ან (ii) ჩართული სხვა საქმიანობაში, რომელიც წარმოადგენს სანქციების დარღვევას;
- e) პროექტის განმახორციელებელი სააგენტო არაა და არ ყოფილა ჩართული რაიმე საქმიანობაში, რომელიც წარმოადგენდა გადასახადებისგან თავის არიდების პრაქტიკას.

3.2 ამ მუხლში ჩამოთვლილი წარმომადგენლობა და გარანტიები პირველად განხორციელდება ამ შეთანხმების შესრულებით. ეს გულისხმობს, რომ განმეორდება სესხის ყოველი გაცემისას და პროცენტის ყოველი გადახდის დღეზე, იმის გათვალისწინებით, რომლებიც ეხება ამ თარიღს.

4. პოზიტიური მიდგომა

პროექტის განმახორციელებელი სააგენტო იღებს ვალდებულებას:

- a) სრულად დაიცვას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო სტანდარტები FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად, და განახორციელოს, შეინარჩუნოს და, საჭიროების შემთხვევაში, გააუმჯობესოს მისი შიდა სტანდარტები და გაიდლაინები (მათ შორის, კლიენტების სათანადო ყურადღებასთან დაკავშირებით შეზღუდვის გარეშე) მიზანშეწონილი ნებისმიერი სანქციებს დაქვემდებარებული საქმიანობის, ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან გადასახადებისგან თავის არიდების ნებისმიერი პრაქტიკის თავიდან აცილებისათვის; და
- b) როგორც კი პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ან KfW შეიტყობს, ან იეჭვებს, რომ ადგილი აქვს ნებისმიერ სანქციებს დაქვემდებარებულ საქმიანობას, ფულის გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსებას, სრულად ითანამშრომლებს KfW- თან და მის აგენტებთან, რათა განსაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა ამგვარ ინციდენტს. კერძოდ, პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ დაუყოვნებლივ და რეგულარულად უნდა უპასუხოს KfW-ს, მისგან ნებისმიერი შეტყობინების მიღების შემთხვევაში და გაუწიოს დოკუმენტური მხარდაჭერა KfW-ის თხოვნის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. ნეგატიური ზემოქმედება

პროექტის განმახორციელებელი სააგენტო იღებს ვალდებულებას

- a) უზრუნველყოს, რომ მისი კაპიტალი და სხვა სახსრები, რომლებსაც ის ინვესტირებს, არ იქნება უკანონო წარმოშობის;

- b) უზრუნველყოს, რომ მისმა საქმიანობამ არ გამოიწვიოს რაიმე სანქციებს დაქვემდებარებული საქმიანობა, ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება;
- c) არ დადოს ან გააგრძელოს რაიმე საქმიანი ურთიერთობა სპეციალურად დანიშნულ მოქალაქეებთან, ბლოკირებულ პირებთან ან სუბიექტებთან, რომლებიც მოცემულია სანქციების ჩამონათვალში და არ ჩაერთოს პირდაპირ ან ირიბად სხვა საქმიანობაში, რომელიც წარმოადგენს სანქციების დარღვევას; და
- d) არ გამოუყოს KfW-ს მიერ ჩამორიცხული თანხები ნებისმიერ პირს, რომელიც მდებარეობს და/ან რეგისტრირებულია ევროკავშირის სიის I დანართში არსებულ ნებისმიერ იურისდიქციაში KfW-ის წინასწარი თანხმობის გარეშე და არ ჩაერთვება სხვა საქმიანობაში, რომელიც წარმოადგენს გადასახადებისგან თავის არიდების პრაქტიკას.

საქართველოს საგარეო საკმეთხო სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
მარაგის ბიურო

სარეგისტრაციო/REGISTRATION № 22511-24

თარიღი/DATE 06.06.2024

დაამტყბა/CERTIFIED BY [Signature]

Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia